



კვლევების პრეზენტაცია კულტურული მემკვიდრეობის თემაზე

დღეს, 14 მარტს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ტფილისის ჰამქარმა, ერთობლივი პროექტის **ქართული მემკვიდრეობის დაცვა** თბილისში A ფარგლებში, გამართეს ორი კვლევის პრეზენტაცია.

საიას კვლევის **ქართული** განვითარების ფონდის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება **ქ** შედეგად გამოიკვეთა, რომ თბილისის განვითარების ფონდში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით, მნიშვნელოვანი გამომწვევებია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ტფილისის ჰამქარის კვლევა **ქ** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის შეფასება **ქ** კი, ეხებოდა უშუალოდ ორბელიანისა და გუდიაშვილის მოედნების რეაბილიტაციის შესაფერხს, რის შედეგადაც, ასევე, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები.

არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ორივე კვლევა მოიცავს დეტალურ რეკომენდაციებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

~~საიას კვლევა **ქ** განვითარების ფონდის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება~~

დაფუძნებიდან დღემდე, თბილისის განვითარების ფონდმა საკუთარი დამფუძნებლისგან ჯამში 370 278 546 ლარი მიიღო და განკარგა. საიას კვლევის შედეგად **გამოიკვეთა, რომ:**

- თბილისის განვითარების ფონდმა მთლიანი შესყიდვების 75% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელა;
- ფონდის მიერ დამფუძნებლისთვის წარდგენილი ანგარიშები არის ზოგადი ხასიათის და არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას;
- თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით, ბიუჯეტი დამტკიცებულია ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც არ ეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და, შესაძლოა, სხვა უწყების უფლებამოსილებას წარმოადგენდეს;
- ვებგვერდის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფონდი საკმაოდ გამჭვირვალე და არაანგარიშვალდებული უწყებაა: ძირითადი საკითხები ვებ გვერდზე არ არის განთავსებული სრულყოფილად და პროაქტიულად;
- მიუხედავად იმისა, რომ ფონდი საკმაოდ დიდი მოცულობის საბიუჯეტო თანხებს განკარგავს და, ამასთან, მისი დაფუძნების დღიდან მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არ ჩატარებულა აუდიტორული შემოწმება.

~~ტფილისის ჰამქარის კვლევა **ქ** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის შეფასება~~

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კვლევა ეხება ორბელიანისა და გუდიაშვილის მოედნების რეაბილიტაციის შესაფერის, რის შედეგადაც გამოიკვეთა:

- გამოვლენილი არქეოლოგიური ფენების არასაკმარისი, არასრულფასოვანი ზედამხედველობა და შეფასება;
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში ძეგლთა დაცვითი ინსტიტუციების არშექმნა, მაგალითად, სამსახური, დეპარტამენტი ან, თუნდაც, განყოფილება, რომელიც განსაზღვრავდა ძეგლთა დაცვის პრიორიტეტებსა და სტრატეგიას;
- არქიტექტურის სამსახურში არ მოიძებნება არც არქიტექტორ-რესტავრატორი და არც ინჟინერ-კონსტრუქტორი, რომლებიც ძეგლთა დაცვითი პრინციპების ჭრილში, შეაფასებდნენ და შესაბამის დასკვნას მოამზადებდნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებზე ნებართვის მაძიებელ პროექტზე;
- ფონდის მიერ არ სრულდება კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, არ ხდება არც არქეოლოგიური და არც სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოს შესახებ ანგარიშების შედგენა და მერიისათვის წარდგენა;
- თბილისის ისტორიული ნაწილისთვის არ არსებობს დეტალური ურბანული რეგლამენტი, არც რესტავრაცია-რეაბილიტაციის და არც **ქუჩების** დიზაინის (ახალი მშენებლობების) დეტალური სახელმძღვანელო.

#კულტურულიმემკვიდრეობა

#საია

#ტფილისისჰამქარი

იხილეთ კვლევები:

[თბილისის განვითარების ფონდის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება](#)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



თბილისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის შეფასება